მეხსიერების თამაში - ქართული ფული

ასაკი: 3-7 წელი
მოთამაშეების რაოდენობა: 2-4
მოიცავს 36 ბარათს - 18 წყვილს. (12 წყვილი - ლარის ბანკნოტის ბარათები, წინა და უკანა მხარე; 6 წყვილი - მონეტების ბარათები)
როგორ ეთამაშოთ ბავშვ(ებ)ს?

- ამობეჭდეთ ბარათები ფერად პრინტერზე და გამოჭერით.
- გაშალეთ და დააწყვეთ ბარათები მაგიდაზე ან იატაკზე: ფულის გამოსახულება უნდა მოექცეს ქვემოთ, ლოგოები/ცარიელი მხარე კი - ზემოთ.

- მოთამაშეები რიგრიგობით იღებენ 2-2 ბარათს.
- ერთი მოთამაშე აიღებს ორ ბარათს და აჩვენებს სხვებსაც. თუ ბარათები წყვილდება - ანუ ორივე ბარათი ზუსტად ერთნაირია, მოთამაშე მას დაიტოვებს. თუ ბარათები არ წყვილდება, ანუ განსხვავებულია, მოთამაშე დააბრუნებს მას თავის ადგილზე.

- ამის შემდეგ მეორე მოთამაშე აიღებს ნებისმიერ ორ ბარათს: თუ ბარათები წყვილდება - დაიტოვებს, თუ არა - დააბრუნებს ადგილზე და ა.შ. თამაში გრძელდება მანამ, სანამ ყველა ბარათი არ დაწყვილდება.
- გაიმარჯვებს ის მოთამაშე, რომელსაც ყველაზე მეტი ბარათი ექნება დაწყვილებული.
- **მოთამაშეებმა უნდა დაიმახსოვრონ ბარათების ადგილმდებარეობა, რათა შეძლონ მათი დაწყვილება.**

რჩევა 3-4 წლის ბავშვების შემთხვევაში:
თამაშის გამარტივების მიზნით, შეგიძლიათ შეამციროთ ბარათების (წყვილების) რაოდენობა, ან ითამაშოთ მხოლოდ ბანკნოტებით, ან - მხოლოდ მონეტებით. შესაძლებელია ბავშვებს ყურადღება გაუმახვილოთ მხოლოდ ფულის ვიზუალზე და არ გადატვირთოთ ციფრების (ანუ ბანკნოტის და მონეტის ნომინალის) დასახელებით.
რჩევა 5-7 წლის ბავშვების შემთხვევაში:
გარდა იმისა, რომ ბავშვები ბარათებს აწყვილებენ ვიზუალით, ამ ასაკის ბავშვებს შესაძლებელია თამაშის დროს მიაწოდოთ მეტი ინფორმაცია ფულის შესახებ: მაგალითად, ფული გვჭირდება იმისთვის, რომ ვიყიდოთ სხვადასხვა ნივთი. ქაღალდის ფულს - ბანკნოტი ჰქვია, ლითონის, ანუ ხურდა ფულს კი - მონეტა. შემდეგ, როცა რომელიმე ბარათს დააწყვილებს, შეგვიძლია ვუთხრათ შესაბამისი ინფორმაცია. მაგალითად, ყოჩაღ! შენ ახლა დააწყვილე ბარათები, რომელზეც 5 ლარიანის წინა მხარეა დატახული. შეგიძლია მითხრა, სად ახატია ციფრი 5? (ან, რა ციფრი ახატია ამ ბარათზე?) კიდევ რა ახატია 5 ლარიანს? 5 ლარი უფრო მეტია თუ 10? 5 ლარს რომ 5 ლარი მივუმატოთ, რამდენი გვექნება? და ა.შ. კითხვები შეგიძლიათ ცვალოთ ბავშვის ასაკის და მზაობის შესაბამისად.